განმარტებები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებზე:

ა(ა) იპ -საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს განმარტებები

ქ. ბათუმის, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის შენიშვნები:

• **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობის (02.01.05) ქვეპროგრამას დაემატოს შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ, ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილიდან (გონიოს ციხის მიმდებარედ) არსებული შიდა გზის გაგრძელება. ილია ჭავჭავაძის N101/103-ის და სელიმ ხიმშიაშვილის ქუჩების კვეთაში ტროტუარის მოწყობა-რეაბილიტაცია.** აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ჩვენ მიერ განხორციელდა გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები. ასევე, შესყიდული გვაქვს აღნიშნული ღონისძიების მესამე ეტაპის სამუშაოები, რომელიც მოიცავს აფსაროსის გზატკეცილიდან (გონიოს ციხის მიმდებარედ) არსებული შიდა გზის გაგრძელებასაც და შესაბამის ეტაპზე მოხდება სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი ასიგნების ბიუჯეტში გათვალისწინება. რაც შეეხება ზემოხსენებულ ქუჩების კვეთაში ტროტუარის მოწყობის საკითხს, ჩვენს მიერ, მოხდება საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად არსებული პრობლემების დეტალური შესწავლა, ხოლო შემდგომ მიეცემა დავალება საპროექტო ორგანიზაციას საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების თობაზე.

• **სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (02 03 01) ქვეპროგრამას დაემატოს შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ, შრომის ქუჩაზე დამატებით სანიაღვრე არხის მოწყობა; იუსუფ ფაღავასა და იოსებ ნონეშვილის ქუჩაზე სანიარვრე არხის დამატება.**

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, ზემოჩამოთვლილ ქუჩებზე განხორციელდება საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად სანიაღვრე ქსელებთან დაკავშირებული პრობლემების დეტალური შესწავლა, ხოლო შემდგომ მიეცემა დავალება საპროექტო ორგანიზაციას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების თაობაზე.

• **პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა (03 02 01) ქვეპროგრამას დაემატოს შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ: ვაჟა-ფშაველას N105/107-სა და ლუკა ასათიანის N49/51-ის, ორი ცხრა სართულიანი კორპუსების ეზოში სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია, გიორგი ბრწყინვალეს N35-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობა, ტბეთის შესახვევი N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა, ტბეთის შესახვევი N3-სა და N9 შორის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა, ძმები ნობელების ქუჩა N40-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობა, კონსტიტუციის ქუჩა N6-ის უკან არსებული სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია, ცოტნე დადიანის ქუჩა N8-სა და N10 შორის არსებული სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N11-სა და N15-ის წინ სკვერის მოწყობა, ხახულის ქუჩა N39-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობა.** აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შესყიდული გვაქვს **„ქ.ბათუმში, გ. ბრწყინვალეს ქუჩა N35-ის მიმდებარედ სკვერი მოწყობა“** - ის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია და შესაბამის ეტაპზე მოხდება სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი ასიგნების ბიუჯეტში გათვალისწინება. ასევე, ხახულის ქუჩა N39-ის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით დამატებით განგიმარტავთ, რომ მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ, (საკადასტრო კოდი N05.32.01.401) ქ.

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის მიერ, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამმართველო“-ში გამოგზავნილი N03-1425245534 წერილის საფუძველზე დასტურდება, რომ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება აღნიშნული უძრავი ქონების პრივატიზება და შეტანილია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში.

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ სხვა საკითხებს, საპროექტო ორგანიზაციასთან ერთად მოხდება საკითხის დეტალური შესწავლა და მიეცემა დავალება საპროექტო ორგანიზაციას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების თაობაზე.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკის სამსახურის, შპს ბათუმის ავტოტრანსპორტის და შპს სანდასუფთავების განმარტებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ მიერ გამოთქმული რეკომენდაციები:

- **,,ინასარიძის და კობალაძის კუთხეში, ასევე ბაგრატიონის ქუჩისა და გენერალ ასლან აბაშიძის კვეთაში შუქნიშნების მონტაჟი”;**

აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარ სამმართველოში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან გაიგზავნა წერილი №14-1425258175, რომელიც ეხება მოსაზრების მოწოდებას შუქნიშნების დამონტაჟების თაობაზე შემდეგ ლოკაციებზე: 1. ტაბიძისა და ლეონიძის ქუჩების გადაკვეთა; 2. ბაგრატიონისა და გენერალ ა. აბაშიძის ქუჩების გადაკვეთა; 3. კობალაძისა და ინასარიძის ქუჩების გადაკვეთა. მიმდინარე წლის 19 სექტემბერს საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარ სამმართველოდან მიღებულ საპასუხო წერილში MIA72503066190 გამოთქმულია მიზანშეწონილობა მითითებულ ლოკაციებზე შუქნიშნების დამონტაჟების, რის საფუძველზეც მიმდინარე წლის 22 სექტემბერს N 14-1425265445 კორესპოდენცია გაეგზავნა შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტს“ და დაევალა ზემოაღნიშნულ ლოკაციებზე შუქნიშნები დამონტაჟება.

აქვე დამატებით მოგახსენებთ, რომ ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემა (ITS) ურბანული სატრანსპორტო კონტროლის სისტემა) დანერგვის პროცესში მოხდება შუქნიშნების განახლება/ახლის დამონტაჟება, სულ 54 ერთეული, მათ შორის 18 ახალი წერტი.

- **,,საჯარო სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსდეს ავტობუსების მოსაცდელები”;**

შპს „ბათუმის ავტორანსპორტი“ მზადაა შესაბამისი თანადაფინანსების პირობებში უზრუნველყოს ქალაქის მასშტაბით, მათ შორის საჯარო სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე მოსაცდელების მოწყობა. დღეის მდგომარეობით ქალაქში ფუნქციონირებს დაახლოებით 500-მდე მოსაცდელი, თუმცა მხოლოდ ნაწილზეა (203) მოწყობილი გადახურული მოსაცდელი. აქედან, კერძო კომპანიის ბალანსზე ირიცხება 130, ხოლო ბათუმის ავტოტრანსპორტის ბალანსზე 26 მოსაცდელი, რასაც გზების რეაბილიტაციის შემდგომ დაემატება და ჩვენი მოვლა-პატრონობის ქვეშ გადმოვა 12 მოსაცდელი, ასევე, ხელვაჩაური

სარფის მიმართულებით ფუნქციონირებს 35 აგურის კონსტრუქციის მოსაცდელი. საერთო ჯამში გადახურვის გარეშე რჩება 297 მოსაცდელი.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საპარკინგე სივრცეების მოწყობის და ზონალური პარკირების შემოღების მიზნით. ასევე, მომდევნო წელს გათვალისწინებულია ინასარიძე-კობალაძის, ბაგრატიონი-გენერალ ასლან აბაშიძის და ტაბიძე-ლეონიძის ქუჩების კვეთაში შუქნიშნების დადგმა. ავტობუსის გაჩერებებზე 30-მდე საინფორმაციო ტაბლოს განთავსება

• ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მადგილემ - ლევან დავითაძემ წამოაყენა რეკომენდაცია 2026 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახული იქნეს თანხები: შამბოს ამოსატუმბი სპეცმანქანის შესაძენად ბათუმის წყლისათვის და მუნიციპალურის სერვისების სამსახურის მიერ ვაუჩერების დამზადება - გაცემა კერძო მოსახლეობისთვის (შამბოს ამოსატუმბად), ქალაქის ეზოების კვირაში 2 - ჯერ დალაგება - დასუფთავება.

გერმანია-საქართველოს ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში, ქ. ბათუმში განხორციელდა საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 4 ფაზა, რომლის ფარგლებშიც ქალაქის ძველი საზღვრები სრულად იქნა აღჭურვილი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებით.

2011-2012 წლებში ქალაქის საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა ხელვაჩაურისა და ჩაქვის დასახლებების მიმართულებით, სადაც არ არსებობს ხსენებული სისტემები, რის გამოც მომხმარებელთა დიდი ნაწილი ნარჩენი წყლის შეგროვებას ახორციელებს შამბოებისა და ინდივიდუალური სეპტიკური ავზების საშუალებით, რომელთა-მოვლა პატრონობა ვერ ხორციელდება სათანადოდ და იწვევს ამ ტერიტორიების დაბინძურებას .

ამ მოცემულობიდან გამომდინარე, საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის შედგა შეთანხმება მე-5 ფაზის დაფინანსებაზე და 2022 წელს ხელი მოეწერა ახალ სასესხო ხელშეკრულებას 53 მილიონ ევროზე, სადაც 25 მილიონი ევრო არის ადგილობრივი თანამონაწილეობა. ამ დაფინანსების მიზანია წყალმომარაგების და წყალარინების ობიექტების სიმძლავრეების გაზრდა ქალაქისთვის და შემოერთებული ტერიტორიების ნაწილობრივი უზრუნველყოფა წყალარინების სისტემებით, კერძოდ აშენდება ცენტრალური კოლექტორი და სატუმბი სადგურები, რაც საშუალებას მისცემს ბათუმის წყალს განავითაროს დაქსელვა და განხორციელოს დამატებითი აბონენტების დაერთება ცენტრალიზებულ სისტემაზე.

ამ ღონისძიების შემდეგ საჭირო იქნება მე-6 ფაზა, რათა საკანალიზაციო სისტემები სრულად მოეწყოს ჩაქვის, მწვანე კონცხის, მახინჯაურის ტერიტორიებზე. რისთვისაც საჭირო იქნება დამატებით 60-70 მილიონი ევრო. საერთოდ ამ პროექტების ფარგლებში სისტემების მოწყობა ხორციელდება დაბალ ზონებში-ზღვის დონიდან 40 მ სიმაღლეზე.

2026 წლის ბიუჯეტის განხილვაზე საკრებულოს წევრების მიერ დადგა საკითხი, რომელიც შემდეგ ასახულია ბიუჯეტის შეფასების დასკვნით ნაწილში და რითაც მოთხოვნილია, რომ ბათუმის მერიამ გამოყოს საკმარისი დაფინანსება სპეციალური ტექნიკის შესაძენად და ვაუჩერების დასაფინანსელად, რომლითაც უფასოდ ისარგებლებს ის მოსახლეობა, რომელიც ვერ სარგებლობს ცენტრალიზებული წყალარინების სისტემებით. ვინაიდან ზემოთ აღწერილი პროექტები დროში გახანგრძლივებულია, შესაძლებელი მოთხოვნა იყოს სამართლიანი, თუმცა აქვე უნდა გაკეთდეს განმარტება მისი

განხორციელების შესაძლებლობაზე და იგი არის შემდეგნაირი: საჭიროა განხორციელდეს შესაბამისი მოკვლევა მომხმარებელთა რაოდენობის დასადგენად; შამბოების/სეპტიკების ტექნიკური მდგომარეობა, მისაწვდომობა მძიმე ტექნიკის მიერ, ოპერირებისთვის საჭირო პერსონალის რაოდენობის განსაზღვრა, ფინანსური საჭიროებების განსაზღვრა; ამ დავალებების შესრულებისთვის საჭირო იქნება კვლევის მომსახურების შესყიდვა, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება შეფასდეს მსგავსი უფასო მომსახურების რელევანტურობა, ეფექტურობა და მოხდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტებისა, შპს ბათუმის წყალი აქტიურად ახორციელებს ანალოგიურ პროექტებს, სწორედ იმ მიზნის მისაღწევად, რომ ქალაქი მთლიანად იქნას უზრუნველყოფილი თანამედროვე წყალმომარაგება-წყალარინების სერვისებით.

რაც შეეხება რეკომენდაციას ქალაქის ეზოების კვირაში 2 - ჯერ დალაგება - დასუფთავებასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ შპს ,,სანდასუფთავება'' საცხოვრებელი სახლების ეზოების დასუფთავებას ახორციელებს კვირაში ერთხელ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, რაც შეეხება წინადადებას კვირაში ორჯერადად ეზოების დასუფთავების თაობაზე, შესაძლებელია თუ კი იქნება შესაბამისი თანხები ასახული 2026 წლის ბიუჯეტში და მოძიებული იქნება შესაბამისი მუშახელი, რაც ამ ეტაპზე წარმოადგენს დიდ პრობლემას ორგანიზაციისათვის (შპს სანდასუფთავება).

• საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" რეკომენდაცია: ,,სასურველია მერიის სანდასუფთავების სამსახურისათვის შეძენილი იქნას მცირე გაბარიტის ნაგავშემკრები მანქანები ქალაქში და მის გარეუბნებში ვიწრო ქუჩებში თავისუფლად გადაადგილების მიზნით."

შპს ,,სანდასუფთავების" 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 4 ცალი მცირე გაბარიტინიანი ნაგამზიდის შესყიდვა, კერძოდ: 2 ცალი 7 კბ.მ ტევადობის და 2 ცალი 10 კბ.მ ტევადობის, აგრეთვე მიმდინარე წელს შესყიდული იქნა 3 ცალი FIAT DUCATO მარკის მიკროავტობუსი, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ობიექტებიდან მუყაოს ნარჩენების გამოტანის სამუშაოებს.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის, ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრის და ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების განმარტებები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის რეკომენდაციებზე:

1. **ქვეპროგრამა „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა" (კლასიკიკაციის კოდი: 04 02 01):**

• ღონისძიება „ახალგაზრდების საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობა";

ა) რეკომენდაცია - დაფინანსების გაზრდა (პროგრამულად და სახაზინო თვალსაზრისით) ქვეპროგრამაზე „უცხოეთში სტაჟირების ხელშეწყობა";

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება, ბიუჯეტის პროექტში ასახვამდე, მოითხოვს სიტუაციის დამატებით ანალიზს, მოკვლევასა და შესწავლას, როგორც პროგრამული, ასევე ფინანსური რესურსების მოძიების კუთხით, რომლის შემდეგაც, სამსახური, საფინანსო-

საბიუჯეტო სამსახურთან ერთად, მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნის შესაბამისად იმოქმედებს.

2. **ქვეპროგრამა „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისთვის“ (04 02 02)**

ა) რეკომენდაცია - დაფინანსების გაზრდა (პროგრამულად და სახაზინო თვალსაზრისით) ქვეპროგრამაზე „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიაწარმატებული სტუდენტებისათვის“.

აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება, ბიუჯეტის პროექტში ასახვამდე, მოითხოვს სიტუაციის დამატებით ანალიზს, მოკვლევასა და შესწავლას, როგორც პროგრამული, ასევე ფინანსური რესურსების მოძიების კუთხით, რომლის შემდეგაც, სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად, მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნის შესაბამისად იმოქმედებს.

3. **რეკომენდაცია:** იმ სექციებში - რომელშიც მუნიციპალიტეტს არ გააჩნია მატერიალურ - ტექნიკური ბაზა 2027 წლიდან, შეწყდეს მათი დაფინანსება (ხელბურთი, ფრენბურთი და კალათბურთის კლუბები ფაქტიურად არიან ტექნიკურ მატერიალური ბაზის გარეშე);

აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესწავლასა და სიტუაციის დამატებით ანალიზს, მოკვლევასა და შესწავლას, როგორც პროგრამული, ასევე ფინანსური რესურსების მოძიების კუთხით, რომლის შემდეგაც, სამსახური, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად, მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნის შესაბამისად იმოქმედებს, ხოლო რაც შეეხება მატერიალურ ტექნიკური ბაზის არ არსებობას - მხარს ვუჭერთ მუნიციპალური სპორტკომპლექსის აშენების ინიციატივას.

4. **რეკომენდაცია:** ,,მუნიციპალური სპორტკომპლექსის აშენების ინიციატივა;

მხარს ვუჭერთ აღნიშნულ ინიციატივას, რაც ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას (მ.შ. მუნიციპალური კლუბების).

5. **რეკომენდაცია** - ქვიშის სტადიონებზე ხელოვნური საფარის დაგება, სადაც 6 თვე

მოეწყობა ქვიშის მოედანი და მომდევნო 6 თვე ხელოვნურსაფარიანი მოედანი.

მივესალმებით აღნიშნულ ინიციატივას, რაც ხელს შეუწყობს ოთხივე სეზონზე მოედნის დატვირთვას, საერთაშორისო ტურნირების ჩატარებას, შავი ზღვის აუზის ქვეყნების პროფესიული და ბავშვთა სპორტის ჩართულობას.

6. **რეკომენდაცია** - ბათუმის მერიის შესაბამისმა სამსახურებმა, ასევე სპორტულმა კლუბებმა და ყველა ა(ა)იპმა წარმოადგინონ პრეზენტაციის სახით 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტი პრეზენტაციის ფორმატში დეტალურად განმარტებული, დაკონკტრეტებული და ვიზუალურად დასურათებული სახით.

- რაც შეეხება, სხვა შენიშვნებსა და რეკომენდაციებს, გადმოგზავნილია შესაბამისი სპორტული ორგანიზაციების მიერ.

7. **რეკომენდაცია** - გათვალისწინებული იქნას საბავშვო ბაღებში ჭადრაკის ან მხიარული თამაშების (მხიარული სტარტების) განხორციელება.

მოგახსენებთ, რომ 2022 წელს საბავშვო ბაღებში ჭადრაკი დაინერგა თამაშის ფორმატში. აჭარის ჭადრაკის ფედერაციამ უსასყიდლოდ გადაამზადა აღმზრდელები და ყველა ჯგუფს გადასცა ჭადრაკის სწავლების სახელმძღვანელოები, რათა ბავშვების დაინტერესების შემთხვევაში შეძლებულიყო შესაბამისი ცოდნა, ხოლო მხიარული სტარტები რეგულარულად ტარდებოდა მშობლების ჩართულობით, ბაღის შიდა სივრცეში. 2026 წელს დაგეგმილია ბაღებს შორის მასშტაბური მხიარული სტარტების ორგანიზება, კვლავ მშობლების აქტიური მონაწილეობით.

8. **რეკომენდაციიები:** ა) ხელი შეუწყოს ვეტერანთა სპორტის განვიტარების პროგრამას; ბ)მეტი ყურარება მიექცეს ვეტერან კალათბურთელებს, კალათბურთის პოპულარიზაციას, მით უფრო, როცა ინფრასტრუქტურის ნაწილი მოწესრიგებულია; გ) მოეწყოს ქუჩის კალათბურთის ტურნირები;

აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ვეტერანთა სპორტის განვითარების პროგრამის ხელშეწყობას, კალათბურთის პოპულარიზაციას და ქუჩის კალათბურთის ტურნირების ჩატარებას, გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრის

2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ღონისძიება „ბათუმი - სპორტის ქალაქი“ (50 000,00 ლარის ოდენობით). კონკურსი ითვალისწინებს გამორჩეული (სანახაობითი/ მიმზიდველი/აქტუალური პროექტების შერჩევა - განხორციელებას, რომელთა ჩატარება ხელს შეუწყობს სამიზნე აუდიტორია/ჯგუფების გააქტიურებას, ჩართულობას, ბათუმელი სპორტსმენების (არაპროფესიონალი) სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას და ქალაქის სპორტული ღონისძიებების გამრავალფეროვნებას, ბათუმის, როგორც სპორტული ღონისძიებების მასპინძელი ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, პოპულარიზაციას, რეკლამირებას. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ შესაბამისი პროექტები, რომელთა განხილვისას კომისიური წესით პრიორიტეტი მიენიჭება ვეტერანთა სპორტისა და კალათბურთის პოპულარიზაციის მიმართულებებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ღონისძიების ფარგლებში 2022 და 2023 წლების განმავლობაში დაფინანსდა ქუჩის კალათბურთის ტურნირი ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის.

9. **რეკომენდაციიები:** ა) ეზოს ფეხბურთმა ამოწურა რესურსები; ბ)ფუტსალისა და ქვიშის ფეხბურთის გუნდების დაფინანსების შემცირება; გ) ქვიშის სპორტის სახეობების ფესტივალის გაუქმება; დ) ქვიშის ფეხბურთის საერთაშორისო ფესტივალის გაუქმება;

ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრმა გაითვალისწინა ის საკითხები, რომლებიც კომისიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული. შესაბამისად, წარმოდგენილ იქნა ორგანიზაციის მიერ კორექტირებული ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრის 2026 წლის ქვეპროგრამის პროექტი.

10. **რეკომენდაცია** - ქ. ბათუმის სპორტული ცენტრის დაქვემდებარებაში არსებული ფეხბურთის ქალთა გუნდი გამოეყოს ცალკე გუნდად.

ქალთა ფეხბურთის გუნდის ცალკე კლუბად გამოყოფის რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული წინადადება საჭიროებს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო შეფასებას და კოორდინაციას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან.

11. **რეკომენდაცია** - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის - ნატალია ზოიძის რეკომენდაცია: ,,2026 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახული იქნეს თანხები ღონისძიების ,,გმირის დღე'' - სთან დაკავშირებით

აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება და ღონისძიება ჩატარდება 2026 წლის 1 ივნისამდე (შიდა რესურსებით, დამატებითი თანხების მობილიზების გარეშე).

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის განმარტებები

ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენული ინიციატივები:

ა) ,,,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიზანი არის პაციენტების შშპ სტატუსის მდგომარეობის რისკფაქტორის თავიდან აცილება, ამიტომ აუცილებელია გაკეთდეს ახალი ქვეპროგრამა, იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ ქრონიკურლი ავტოიმუნური დაავადებები (რევმატიული, ნევროლოგიური) და ა.შ. მოგეხსენებათ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო ახორციელებს მსგავს პროგრამას, ფიზიკური მედიცინის და სამედიცინო რეაბილიტაციის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც მხოლოდ კანკუთვნილია შშმ სტატუსის პირებისათვის. იქნებ შენდეგში მუნიციპალიტეტის მიერ გაკეთდეს ბათუმის მაცხოვრებელებისთვის მსგავსი საპილოტე პროგრამა'';

ბ) ,,2025 წლიდან ამოქმედდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა 55 წელს ზემოთ ქალებისათვის და 60 წელს გადაცილებულ მამაკაცებში, რაც დაკავშირებული იყო ძვლის სიმკვრივის კვლევასთან. ასაკოვან ადამიანებში მსგავსი პრობლემა ძალიან აქტუალურია, კვლევების თანახმად და ჩვენი დაკვირვებით კიდე უფრო მძაფრადაა გამოხატული აღნიშნული

პრობლემა 18 წლამდე ასაკის ბავშვებში, აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ აუცილებელია გაკეთდეს ბავშვებში ძვლის სიმკვრივის კვლევის შესახება პროგრამა. პირველ ეტაპზე ეს იქნება საპილოტე ხასიათის, DEXSA ან ულტრაბგერითი აპარატის გამოყენებით გამოვიკვლიოთ ძვლის სიმკვრივე, შემდეგში კი პროგრამულად მოხდეს კალციუმის და D ვიტამინის ანალიზის ცატარება. აღნიშნული პროგრამის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული დიდ ფინანსურ ხარჯებთან და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს არ დააწვება ტვირთად, მაგრამ პრობლემის დროულად აღმოჩენა და მისი აღმოფხვრა შემდეგში მოგვცემს შესაძლებლობას ჯანდაცვის ბიუჯეტიდან დაიზოგოს დიდი თანხები. ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა დაცვის კომისიის შემადგენლობას და მერიის ჯანდაცვის სამსახურს გთავაზობთ ვიმუშავოთ აღნიშნული მიმართულებით.''

ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ წარმოდგენილ ინიციატივებთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ აღნიშნული რეკომენდაციების ბიუჯეტის პროექტში ასახვამდე მოითხოვს მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებას: კერძოდ, ეს არის მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები, მსოფლიო და საქართველოს მასშტაბით აღნიშნულ ნოზოლოგიებზე არსებული სტატისტიკის გათვალისწინებას და ანალიზს, ასევე, შესაბამისი საკითხების მოკვლევასა და შესწავლას, დარგის ექსპერტების მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს, რომლის შედეგადაც ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურთან ერთად მტკიცებულებების საფუძველზე გამოტანილ დასკვნების შესაბამისად იმოქმედებს.

ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის განმარტება

• საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" რეკომენდაცია: „სისტემატურად ხორციელდებოდეს მონიტორინგი გარე - ვაჭრობასსთან დაკავშირებით."

აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის მიერ სისტემატიურად ხორციელდება ინსპექტირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარევაჭრობის აღკვეთის მიზნით. ინსპექციის მიერ ქალაქის სხვადასხვა ლოკაციიდან გატანილი იქნა არაერთი ჯიხური და კონსტრუქცია, მათ შორის გათავისუფლებული იქნა სავალი ნაწილი გარევაჭრობის ნივთებისაგან, გზის სავალი ნაწილიდან გაყვანილი იქნა ავტომობილები, რომლებიდანაც ხორცილდებოდა გარევაჭრობა. ადმინისტრაციულ ერთეულებში შესაბამისი სპეციალისტები ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ ინსპექტირებას, მათ შორის ახდენენ დამრღვევთა დაჯარიმებას. დამატებით გაცნობებთ, რონ ინსპექცია ახორციელებს და 2026 წლის განმავლობაშიც აქტიურად განახორციელებს სისტემატიურ მონიტორინგს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარევაჭრობის აღკვეთის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განმარტებები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელი და საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები. ასევე ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსანიშნავია რომ მუნიციპალიტეტი წლებია ახერხებს მუნიციპალური ბიუჯეტის როგორც შემოსულობების ასევე გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების (როგორც საკუთარი შემოსულობების ზრდის, ასევე ტრანსფერების მოზიდვის კუთხით) გაზრდას. წარმოდგენილი პროექტი შეიცვალა (დეტალური

ინფორმაცია წარმოდგენილია განამარტებითი ბარათის სახით), ბიუჯეტის პირველად პროექტთან მიმართებით.

გამოთქმულ შენიშვნებთან, რომლებიც შეეხება ახალი ღონისძიებებისა და პროექტების დამატებას ბიუჯეტში, განხორციელდება შესაბამისი სამსახურებიდან/ორგანიზაციებიდან ღონისძიებებისა და პროექტების შესწავლა (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა) და შესაბამისი ფინანსური რესურსების მოზიდვის შემთხვევაში 2026 წლის ბიუჯეტში ასახვა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტით საბიუჯეტო პარამეტრები გადასახდელების ნაწილში შეცვლილია შემდეგი მაჩვენებლით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის პროექტი (მოქმედი რედაქცია)	2026 წლის პროექტი (ცვლილების შემდეგ)	ცვლილება +/-
შემოსულობები	**503 500,0**	**504 074,4**	**574,4**
შემოსავლები	494 500,0	495 074,4	574,4
გადასახადები	134 903,0	135 477,4	574,4
გრანტები	248 914,3	248 914,3	
სხვა შემოსავლები	110 682,7	110 682,7	
არაფინანსური აქტივების კლება	9 000,0	9 000,0	
გადასახდელები	**570 000,0**	**570 000,0**	
ხარჯები	287 980,8	287 836,1	-144,7
შრომის ანაზღაურება	62 750,6	62 750,6	
საქონელი და მომსახურება	101 354,3	101 191,2	-163,1
პროცენტი	6 523,7	6 523,7	
სუბსიდიები	32 300,9	32 300,9	
გრანტები	15,0	15,0	
სოციალური უზრუნველყოფა	25 298,0	25 298,0	
სხვა ხარჯები	59 738,3	59 756,7	18,4
არაფინანსური აქტივების ზრდა	240 540,3	240 685,0	144,7
ვალდებულებების კლება	41 478,9	41 478,9	
ნაშთის ცვლილება	**-66 500,0**	**-65 925,6**	**574,4**